პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК И ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 195 (9663) | ოთხშაბათი, 19 აგვისტო, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ თბილისში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია.

უმაღლესი საბჭოს სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ამხ. კ. ს. ციმაკურიძის მოხსენება საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 18 აგვისტოს დილის სხდომა. სურათზე — თავმჯდომარის მაგიდასთან სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხანაგები **ვ. ხარაზია, ა. გიორგაძე, ნ. ნიჟარაძე;** ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი ამხ. **კ. ციმაკურიძე.**

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი

გუშინ თბილისში, მთავრობის სახლის სხდომის დარბაზში გაიხსნა საქართველოს სსრ მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია.

სესია მუშაობას შეუდგა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ახალი პოლიტიკური და სამეურნეო აღმავლობის ეთარებაში, რაც გამოიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლახან დამთავრებული მეხუთე სესიის მიერ მიღებულმა სსრ კავშირის 1953 წლის ბიუჯეტმა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალმა კანონმა, ამ სესიაზე საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვამ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებმა, ამხანაგ მალენკოვის სიტყვით დასახულმა ამოცანებმა მიმართულება მისცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიას, მის მუშაობას.

დეპუტატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს მოხსენება საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

თანხები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ სესიის დასამტკიცებლად წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით, წარმატებით უზრუნველყოფს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შეუფერხებელ დაფინანსებას. ბიუჯეტის პროექტი, გამოხატავს რა ჩვენი პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას, ნათლად ადასტურებს, იმას, რომ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა კვლავაც მძლავრი აღმავლობით წავა წინ, კიდევ უფრო გაუმჯობესდება მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა.

ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი გათვალისწინებულია 2.692.716 ათასი მანეთის ოდენობით, ამავე ოდენობით ნავარაუდევია გასავლის ნაწილი.

ადამიანისათვის ზრუნვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელი მოღვაწეობის შინაარსს შეადგენს, თვით სოციალისტური წყობილების არსიდან გამომდინარეობს. ეს ზრუნვა ნათლად ჩანს ჩვენს ბიუჯეტებში. სესიის დასამტკიცებლად წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით ყველაზე დიდი სახსრები სწორედ სახალხო განათლების, კულტურის, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის არის გათვალისწინებული. იგი მთელი ბიუჯეტის 64 პროცენტს შეადგენს და ფულადი გამოხატულებით 1.721 მილიონი მანეთით განისაზღვრება. ბიუჯეტის 27,8 პროცენტი, ე. ი. 747 მილიონი მანეთი, ნავარაუდევია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად.

მაშინ როცა საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტები ადამიანის კეთილდღეობის, მისი ცხოვრების აყვავების უზრუნველყოფისაკენ არის მიმართული, კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტი ხმარდება მშრომელთა გაჩანაგებასა და გაღარიბებას, გამალებულ სამხედრო შეიარაღებას, ომისათვის მზადებას.

მშრომელთა საბინაო-კომუნალური მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ეს გარკვეულად არის ასახული ბიუჯეტის პროექტში. კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროს ხაზით, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კომუნალური და საბინაო მეურნეობის კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებულია 235 მილიონი მანეთი. ეს თანხა 21 მილიონი მანეთით სჭარბობს გასულ წელს ამავე მიზნით დახარჯულ თანხას.

კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა ნავარაუდევია 604 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც 67 მილიონი მანეთით აღემატება გასული წლის დანახარჯებს. მნიშვნელოვანი თანხებია გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის განვითარების ღონისძიებებისათვის.

საქართველოს სსრ 1953 წლის ბიუჯეტი, რომელშიც ასახულია ის ზრუნვა, რასაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობისა და კულტურის აყვავებისათვის, სერიოზულ ამოცანებს აკისრებს სამრეწველო საწარმოებს, სამინისტროებს და სამეურნეო ორგანიზაციებს. მათ ეკალებათ ყოველდღიურად იმუშაონ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობათა გეგმების შესასრულებლად, დროზე უზრუნველყონ მშენებლობანი ფულადი სახსრებით.

ძირითადი ამოცანა ის არის, რომ ყველა საწარმომ შეასრულოს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა, გაადიდოს რენტაბელობა, განუხრელად შეასრულოს თავისი ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე.

გასულ წელს ცოტა როდი იყო ისეთი საწარმოები, რომლებმაც ვერ შეასრულეს დაგროვების გეგმები და თავიანთი ვალდებულებანი ბიუჯეტის წინაშე. მაგალითად, დაგროვების გეგმები ვერ შეასრულეს ხორცისა და რძის მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, ვაჭრობის სამინისტროებმა.

რესპუბლიკაში ბევრია ზარალიანი საწარმოები. ისინი მოწინავე საწარმოთა ხარჯზე ცხოვრობენ. მათი საქმიანობა ძირს უთხრის სამეურნეო ანგარიშს და არ იძლევა დაგროვების გადიდების საჭირო სტიმულს.

სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელებმა და სათანადო სამინისტროებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ თვითღირებულების შემცირებას. ეს საკითხი ყველაზე მწვავედ დგას სამშენებლო ორგანიზაციების წინაშე, რადგან ეს ორგანიზაციები თითქმის ყველა სამეურნეო წელს ზარალით ამთავრებენ, რასაც იწვევს მშენებლობაზე შრომის მოუწესრიგებლობა, მასალების მოუმარაგებლობა, მექანიზმების დაუტვირთაობა. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ შარშან საქმშენმა სამეურნეო წელი დაამთავრა 7.377 ათასი მანეთი ზარალით, ხოლო ქუთაისმშენმა 4.396 ათასი მანეთი ზარალით. არც სხვა სამშენებლო ორგანიზაციებში იყო უკეთესი მდგომარეობა.

წარმოების ყველა დარგში თვითღირებულების შემცირებასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხალხის მატერიალური კეთილდღეობისათვის. ბუნებრივია, რომ რაც უფრო მცირეა საქონლისა და პროდუქტის ფასი, მით უფრო მაღალია ხალხის ცხოვრების დონე.

ამიტომ საწარმოთა ხელმძღვანელების, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების უპირველესი ამოცანაა განუწყვეტლივ იზრუნონ თვითღირებულების სისტემატური შემცირებისათვის, თვითეული საწარმოს რენტაბელობისათვის.

სოციალისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა დამოკიდებულია სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის ყველა რგოლში პასუხისმგებლობისა და კულტურის ამაღლებაზე. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ყოველ მუშაკს კარგად ესმოდეს თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე და პატიოსნად ასრულებდეს მას.

სესია მუშაობას განაგრძობს. გამოსული დეპუტატები იწონებენ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტს. სესიის მიერ მიღებული 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება ხელს შეუწყობს იმ დიდი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, რაც ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დგას მიმდინარე სამეურნეო წელს, გამოიწვევს საქართველოს მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები ძალღონეს არ დაზოგავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებით თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენი სამშობლოს სამხედრო და ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 18 აგვისტოს დილის სხდომის შესახებ

18 აგვისტოს, დღის 12 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. დ. გიორგაძემ.** მან განაცხადა, რომ სესიის განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება. საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.
2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება. საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.
3. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებისა და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედი სპეციალური სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევა. საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

დეპუტატ **ნ. ბ. გაბუნიას** წინადადებით მტკიცდება სესიის მუშაობის რეგლამენტი.

შემდეგ საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ თავმჯდომარე მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრს ამხ. **კ. ს. ციმაკურიძეს.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება გაკეთა საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. ა. გიგოშვილმა.**

შემდეგ სესია შეუდგა საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების განხილვას.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **ბ. ე. ლომიძე** (ქალაქ ქუთაისის მოლოტოვის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **გ. ნ. მირიანაშვილი** (ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის საარჩევნო ოლქი), თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **გ. ა. გეგეშიძე,** დეპუტატი **მ. კ. დელბა** (ოჩამჩირის რაიონის ოჩამჩირის საქალაქო საარჩევნო ოლქი), სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **გ. გ. სანაკოევი,** დეპუტატი **ა. ს. ბექაური** (დუშეთის რაიონის ფასანაურის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **მ. ი. კუჭავა** (სუხუმის რაიონის შრომის საარჩევნო ოლქი).

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 18 აგვისტოს საღამოს სხდომის შესახებ

18 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **ა. თ. ხელიძე** (ქუთაისის რაიონის ოფურჩხეთის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **შ. ს. რეხვიაშვილი** (ონის რაიონის უწერის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **მ. ყ. ყულიევი** (ბოლნისის რაიონის არუხლოს საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **შ. ი. ჭანუყვაძე** (ჩოხატაურის რაიონის დაბლაციხის საარჩევნო ოლქი), აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **დ. მ. მამულაძე,** დეპუტატი **მ. ი. ბურჭულაძე** (ლანჩხუთის რაიონის აცანის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ე. ვ. სამადელაშვილი** (ქ. გორის სტალინის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ზ. ნ. კეცხოველი** (დუშეთის რაიონის ბაზალეთის საარჩევნო ოლქი).

ამათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სხდომა მთავრდება. (საქდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მედიცინის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება:

1. **არშბას** სოკრატ იაკობის-ძეს.
2. **აივაზიშვილს** რევაზ ალექსანდრეს-ძეს.
3. **ალშიბაიას** კალისტრატე მარკოზის-ძეს.
4. **ბაისოგოლოვს** დავით გრიგოლის-ძეს.
5. **გამრეკელს** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს.
6. **გიგინეიშვილს** მიხეილ კონსტანტინეს-ძეს.
7. **გუნთაშვილს** მურად ჰუსეინის-ძეს.
8. **ინაკაძეს** ეკატერინე მელიტონის ასულს.
9. **კაკუბერს** ონიფანტე ალექსის-ძეს.
10. **კოლიუნაიას** ქსენია ალექსანდრეს ასულს.
11. **კლიმიაშვილს** ოქროპირ ნიკოლოზის-ძეს.
12. **ლომდარიძეს** ალექსანდრე გიორგის-ძეს.
13. **მაღრაძეს** ვახტანგ კორნელის-ძეს.
14. **მაკალათიას** თამარ ანტონის ასულს.
15. **მამფორიას** იოსებ ამბერკის-ძეს.
16. **მაჭარაშვილს** მიხეილ ალექსანდრეს-ძეს.
17. **სანაკოევს** მარიამ სერგის ასულს.
18. **სუროვცევს** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს.
19. **ფუსკიკაძეს** ვიქტორ ნიკიფორეს-ძეს.
20. **ცუმელიძეს** ბორის ონისიმეს-ძეს.
21. **ჩიკვაიძეს** ნიკოლოზ მიხეილის-ძეს.
22. **ჩხეიძეს** ნიკოლოზ ნესტორის-ძეს.
23. **ჩომახიძეს** ნადეჟდა გიორგის ასულს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1953 წ. 18 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე

საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის კ. ს. ციმაკურიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! რამდენიმე დღის წინათ მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე მოწვევის მეხუთე სესიამ. სესიამ, რომლის მუშაობაც უდიდესი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობდა, განიხილა და მიიღო კანონები სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და დადგენილებანი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

ამ დოკუმენტებში მკაფიო გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა მთავრობის და კომუნისტური პარტიის გრძნეულმა პოლიტიკამ, რომლის მიზანია ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარება და განუხრელი აღმავლობა, მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება.

მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი კმაყოფილებით და ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა სესიაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვას, რომელმაც ყოველმხრივ დაასაბუთა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანები ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში.

პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა მიმართულია ჩვენს ქვეყანაში მშვიდობიანი მშენებლობის გიგანტური მასშტაბით გაშლისაკენ. მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისადმი დიდ ყურადღებასთან ერთად, საჭიროა მიღწეულ წარმატებათა ბაზაზე მოვაწყოთ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობა. ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის უფრო სწრაფი ამაღლების უზრუნველსაყოფად დაჩქარებულ უნდა იქნას მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარება.

„გადაუდებელი ამოცანაა, — განაცხადა თავის სიტყვაში ამხანაგმა მალენკოვმა, — რომ ორი-სამი წლის მანძილზე მკვეთრად ავამაღლოთ მოსახლეობის უზრუნველყოფა სასურსათო და სამრეწველო საქონლით — ხორცითა და ხორცის პროდუქტებით, თევზითა და თევზის პროდუქტებით, ერბო-კარაქით, შაქრით, საკონდიტრო ნაწარმით, ქსოვილებით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ჭურჭლით, ავეჯით და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო საგნებით, მნიშვნელოვნად გავადიდოთ მოსახლეობის უზრუნველყოფა სახალხო მოხმარების ყველა საქონლით“.

ეს ამოცანა რომ განვახორციელოთ, საჭიროა ვიზრუნოთ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და აღმავლობისათვის, ვინაიდან იგი ამარაგებს მსუბუქ და კვების მრეწველობას ნედლეულით, ხოლო მოსახლეობას სურსათით.

მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალე მოწონებით შეხვდა ცნობას იმის შესახებ, რომ მთავრობა და პარტიის ცენტრალური კომიტეტი გადაუდებელ ღონისძიებებს ახორციელებენ ჩამორჩენილ რაიონებსა და კოლმეურნეობებში სოფლის მეურნეობის თავმინებებულობის აღმოსაფხვრელად, მეცხოველეობის განვითარებაში, აგრეთვე კარტოფილის და ბოსტნეულის წარმოებაში შეუწყნარებელი ჩამორჩენის დასაძლევად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ გადიდდეს კოლმეურნეობათა ეკონომიური დაინტერესება ჩამორჩენილი დარგების განვითარებით.

უმაღლესი საბჭოს სესიის შედეგები ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა წარმატებით წყვეტენ დასახულ ამოცანას — მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ ხალხის განუწყვეტელი მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი.

საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილია საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.

რესპუბლიკის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ დამტკიცებული იყო შემოსავლის ნაწილში 2.793.378 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში — 2.747.417 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსაელის 45.961 ათასი მანეთის გადაჭარბებით.

სასურსათო საქონლის საცალო ფასების მეხუთეჯერ დაკლებასთან დაკავშირებით და საანგარიშო წლის განმავლობაში მთავრობის ცალკე დადგენილებათა საფუძველზე რესპუბლიკის 1952 წლის ბიუჯეტში შეტანილ იქნა ნაწილობრივი ცვლილებები, რის შედეგად დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობამ შეადგინა 2.798.762 ათასი მანეთი.

უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიის დასამტკიცებლად წარმოდგენილი წლიური ანგარიშის მიხედვით რესპუბლიკის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი შესრულებულია 2.901.925 ათასი მანეთის ოდენობით, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 103,7 პროცენტს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის ნაწილი კი შესრულებულია 2.654.710 ათასი მანეთის მოცულობით, ანუ დაზუსტებული გეგმის 94,8 პროცენტით.

1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგად შემოსავალმა გასავალს გადააჭარბა 247.215 ათასი მანეთით.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კომუნალური მეურნეობის, ტრანსპორტისა და სხვა დარგების საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა უმრავლესობამ საანგარიშო წელს წარმატებით შეასრულა საწარმოო გეგმები, მაღლწია პროდუქციის გამოშვების და რეალიზაციის გეგმების გადაჭარბებას. შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების საფუძველზე დაგროვების გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს მსუბუქი და კვების მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროების საწარმოებმა.

ამავე დროს დაგროვების გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებანი ვერ შეასრულეს ვაჭრობის სამინისტრომ, საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებმა, ხორცის და რძის მრეწველობის საწარმოებმა, კინემატოგრაფიის სამინისტრომ და სხვ.

ცალკე სამინისტროებმა და მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა 1952 წელს ვერ უზრუნველყვეს სახალხო მეურნეობის განვითარების დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა სრულად გატარება, კაპიტალური მშენებლობის სამუშაოთა ორგანიზაცია და მშენებლობათა პროექტებით და ტექნიკური დოკუმენტაციით მომარაგება, რის გამო სამშენებლო სამუშაოები საჭირო მოცულობითა და ტემპებით ვერ წარიმართა. აღნიშნული მიზეზებით 1952 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან ვერ იქნა ათვისებული 144 მილიონ მანეთამდე.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა არასრულად განხორციელების, ქსელის არამთლიანად გაშლისა და შტატების დაუკომპლექტებლობის გამო 1952 წელს სახალხო განათლების ხაზით არ იქნა გამოყენებული 34,5 მილიონი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე — 25,7 მილიონი მანეთი, სოფლის მეურნეობის ხაზით — 32,9 მილიონი მანეთი, სატყეო მეურნეობის ღონისძიებებზე — 14,6 მილიონი მანეთი.

გასული წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგები ავალებს სამინისტროებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს საგრძნობლად გაუმჯობესონ მუშაობა და მეტი ყურადღება მიაქციონ სახალხო მეურნეობის განვითარებას გეგმის მაჩვენებლების შესრულებას ყველა დარგში.

საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს სესიის დასამტკიცებლად წარმოდგენილია შემოსავლის ნაწილში 2.692.716 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 2.692.716 ათასი მანეთის ოდენობით.

რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი შედგენილია სახალხო მეურნეობის განვითარების მიმდინარე წლისათვის დამტკიცებული გეგმის სრული შესაბამისობით და სავსებით უზრუნველყოფს ამ გეგმათ გათვალისწინებულ ღონისძიებათა შეუფერხებლივ დაფინანსებას.

1953 წლის ბიუჯეტში ასახულია მთავრობის მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი, როგორიც არის მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების შემცირება; ღონისძიებანი მრეწველობის განვითარებისა და საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი გაფართოებისათვის; ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის უფრო სწრაფი განვითარების უზრუნველსაყოფად — მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებითა და მრეწველობის ნედლეულით მოსამარაგებლად; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ მიღებული დადგენილება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონის შესახებ და ამ კანონის მიხედვით გლეხთა საგადასახადო დაბეგვრის მნიშვნელოვანი შემცირება; მოსახლეობაში გასავრცელებელ სახელმწიფო სესხის თანხის ერთიორად და უფრო მეტად შემცირება.

ბიუჯეტში სათანადოდ ასახულია საქართველოს სსრ შემადგენლობაში თბილისისა და ქუთაისის ოლქების ლიკვიდაცია და, გარდა ამისა ზოგი სამინისტროს გამსხვილება, რაც განხორციელდა მთავრობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

ბიუჯეტის შემოსავალი

საქართველოს სსრ მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განუხრელი ზრდის შედეგად ყოველწლიურად იზრდება სოციალისტური მეურნეობის შემოსავლის ხვედრითი წონა საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში და ამავე დროს მცირდება ბიუჯეტში მოსახლეობისაგან შემოსავლის ხვედრითი წონა.

ბრუნვის გადასახადის ანარიცხები საქართველოს სსრ 1953 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 861.993 ათასი მანეთის ოდენობით, გადასახადის მთლიანი თანხა კი განსაზღვრულია 4.163,0 მილიონი მანეთის ოდენობით. რესპუბლიკის ბიუჯეტში ბრუნვის გადასახადიდან ჩაირიცხება 20,7 პროცენტი. ბრუნვის გადასახადის გეგმის შესრულებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება ბიუჯეტის წარმატებით შესრულებისათვის.

საჭიროა სამინისტროთა და ცენტრალურ დაწესებულებათა, თვითეული საწარმოს და სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა დაუცხრომლად იზრუნონ იმისათვის, რომ უზრუნველყონ საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმების შესრულება როგორც მოცულობის, ისე ასორტიმენტის მიხედვით.

მიმდინარე წელს მოსახლეობის მზარდი მყიდველობითი უნარის დასაკმაყოფილებლად მთავრობის მიერ მიღებულია დამატებითი ღონისძიებანი საქონელბრუნვის გასაშლელად მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებით და ბაზრისათვის საქონლის სხვა წყაროებიდან მიწოდებით. ამის შედეგად საგრძნობლად გაიზრდება მოსახლეობისათვის საჭირო ფართო ასორტიმენტის საქონლის წარმოება. ამ ფონდების ათვისება და მომხმარებლებისათვის დროულად მიწოდება უზრუნველყოფს ბიუჯეტით გათვალისწინებული ბრუნვის გადასახადის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებას. საჭიროა ვაჭრობის სამინისტრომ და სავაჭრო ორგანიზაციებმა გამოასწორონ სერიოზული ნაკლოვანებანი ვაჭრობის ორგანიზაციის საქმეში და საქონელზე მოთხოვნილების შესწავლის საფუძველზე უზრუნველყონ მაქსიმალურად ფართო ასორტიმენტის საქონლის მიწოდება მომხმარებლებისათვის, რათა თვითეულ ქალაქში, თვითეულ სასოფლო რაიონში შეიძლებოდეს ყველა საჭირო საქონლის ყიდვა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მოგება 1953 წელს გათვალისწინებულია 925,8 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც 223 მილიონი მანეთით აღემატება გასულ წელს მიღებულ მოგებას. ამ თანხიდან ბიუჯეტში შესატანად მოგების ანარიცხების სახით გათვალისწინებულია 695 მილიონი მანეთი. დანარჩენ 230 მილიონ მანეთს საწარმოები უშუალოდ გამოიყენებენ კაპიტალურ დაბანდებებზე, საბრუნავი სახსრების შესავსებად და სხვა მოთხოვნილებათა დასაფარავად.

ბიუჯეტის წარმატებით შესრულებისათვის აუცილებელია, რომ სამინისტროებმა, ცენტრალურმა ორგანიზაციებმა და მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა ხელმძღვანელებმა გააძლიერონ მუშაობა და უზრუნველყონ პროდუქციის წარმოების გეგმების გადაჭარბებით შესრულება. თვითეული საწარმო აუცილებლად უნდა ასრულებდეს მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების საწარმოო გეგმას, თვითღირებულების შემცირების დავალებას, ყოველი ღონისძიებით განამტკიცებდეს სამეურნეო ანგარიშს და ახორციელებდეს მომჭარნეობის მტკიცე რეჟიმს სახსრების გამოყენებაში.

მოსახლეობაში ხელმოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხის შემოსავალი საქართველოს სსრ 1953 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 125,9 მილიონი მანეთის ოდენობით. შარშან ფაქტიურად გავრცელებულ თანხასთან შედარებით წელს სახელმწიფო სესხზე ხელმოწერის თანხა 2,3-ჯერ შემცირდა.

როგორც დეპუტატებს მოეხსენებათ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ მიიღო ახალი კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. მთავრობამ და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის შეცვლა, რათა გამოსწორებულ იქნას არასწორი დამოკიდებულება, რაც ჩვენში შეექმნა კოლმეურნის პირადი დამხმარე მეურნეობისადმი. ამის გამო ძირფესვიანად შეცვლილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადით კოლმეურნეთა დაბეგვრის სისტემა და საგრძნობლად შემცირებულია თვით გადასახადიც.

თუ წინათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გამოიანგარიშებოდა კოლმეურნეებისა და სოფლის სხვა მოსახლეობის პირად სარგებლობაში არსებული თვითეული სახეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურის შემოსავლიდან, ნათესების, ბაღების, ვენახების, პირუტყვის, მეფუტკრეობის და სოფლის მეურნეობის სხვა შემოსავლიდან, ახალი კანონის თანახმად გადასახადი გამოიანგარიშება მტკიცე განაკვეთებით ჰექტარის ერთ მეასედზე, მიუხედავად იმისა, თუ რა სასოფლო-სამეურნეო კულტურას უკავია მიწის ნაკვეთი, რომელიც კოლმეურნის პირად სარგებლობაშია. ამასთან ცალკე არ იქნება აღრიცხული შემოსავალი მებაღეობისაგან, მევენახეობისაგან, აგრეთვე კოლმეურნეებისა და სოფლად მცხოვრები სხვა მოსახლეობის პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვისაგან.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის ასეთი წესი ხელს შეუწყობს კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში მყოფი პირუტყვის რაოდენობის გადიდებას და, გარდა ამისა, საკარმიდამო ნაკვეთები კოლმეურნეთა მიერ გამოყენებული იქნება უფრო ძვირფასი და მათთვის და სახელმწიფოსათვის ხელსაყრელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გასაშენებლად.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონით საქართველოს სს რესპუბლიკისათვის დაწესებულია ჰექტარის ერთ მეასედზე გადასახადის საშუალო განაკვეთი 13 მანეთის ოდენობით. საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს უფლება აქვს საჭირო შემთხვევაში დაწესონ გადასახადის განაკვეთის დიფერენცირება ცალკეული რაიონებისა და სოფლებისათვის.

კანონით გათვალისწინებულია მომდინარე წელს 50 პროცენტი შეღავათის მიცება გადასახადში იმ მეურნეობებისათვის, რომელთაც არა ჰყავთ ძროხა. კანონით დაწესებულ სხვა მნიშვნელოვან შეღავათებს გარდა, მთავრობამ გადაწყვიტა სასოფლო-სამეურნეო გადასახადში წასული წლების ნარჩენების მთლიანად მოხსნა.

კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების მიზნით გადასახადი 50 პროცენტით უდადდებათ კოლმეურნეთა იმ მეურნეობებს, რომელთა ცალკეულ წევრებს არასაპატიო მიზეზით გასული წელს არ გამოუმუშავებიათ კოლმეურნეობაში დადგენილი შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი.

ახალი კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ ძალაში შედის 1953 წლის 1 ივლისიდან. მიმდინარე წლის პირველი ორი ვადის გადასახადები გამოანგარიშებულ უნდა იქნას გასული წლის კანონის მიხედვით.

საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად იწონებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალ კანონს, რადგან იგი ხელს შეუწყობს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას, მნიშვნელოვნად გააძლიერებს მეცხოველეობის განვითარების ტემპებს და ხელს შეუწყობს კოლმეურნეთა შემოსავლის გადიდებას.

საფინანსო ორგანოების მოვალეობა და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანაა სწორად განახორციელონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი, უზრუნველყონ საკარმიდამო ფართობების ზუსტი აღრიცხვა და გადასახადების სწორად გამოანგარიშება, რომ ყველა გადამხდელს დროულად მიენიჭოს კანონით გათვალისწინებული შეღავათები.

ბიუჯეტის გასავალი

რესპუბლიკის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 747 მილიონი მანეთი, ანუ ბიუჯეტის მოცულობის 27,8 პროცენტი, მიმართულია სახალხო მეურნეობის დაფინანსებაზე და 1.721 მილიონი მანეთი, ანუ ბიუჯეტის 64,0 პროცენტი, ხმარდება სახალხო განათლების, კულტურის, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

სახალხო მეურნეობის ხაზით რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში მიმდინარე წელს დაბანდებულ იქნება 1.294 მილიონი მანეთი, ანუ 155 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1952 წელს. აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან 747 მილიონი მანეთი და საკუთარი სახსრებიდან 547 მილიონი მანეთი. აღნიშნული თანხები მთლიანად უზრუნველყოფს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კომუნალური მეურნეობის და სხვა დარგების განვითარებას და აღმავლობას მეხუთე ხუთწლიანი გეგმის სრული შესაბამისობით.

კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა 1953 წელს შეადგენს 604 მილიონ მანეთს, რაც 67 მილიონი მანეთით აღემატება გასული წლის დანახარჯებს.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში მიმდინარე წელს დაბანდებული იქნება 418 მილიონი მანეთი, ანუ 21 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე გასულ წელს. ამ დაბანდებებში ბიუჯეტი მონაწილეობას მიიღებს 166 მილიონი მანეთის ოდენობით, დანარჩენი 252 მილიონი მანეთი დაიფარება მრეწველობის საკუთარი სახსრებიდან.

სოფლის მეურნეობის ღონისძიებებზე მიმდინარე წელს დაიხარჯება 325 მილიონი მანეთი, მათ შორის ბიუჯეტიდან გაიცემა 212 მილიონი მანეთი, დანარჩენი 113 მილიონი მანეთი დაიხარჯება საკუთარი სახსრებიდან.

კომუნალური მეურნეობის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროს ხაზით, ქალაქების, რაიონული ცენტრების კომუნალური და საბინაო მეურნეობის კეთილმოწყობაზე დაიხარჯება 235 მილიონი მანეთი, ნაცვლად გასული წლის 214 მილიონი მანეთისა.

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა დიდ ზრუნვას იჩენენ ჩვენი ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის. ამ დიდ ზრუნვას მოწმობს სახალხო განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე ბიუჯეტის ხარჯების ზრდა.

ბიუჯეტის ასიგნობანი სავსებით შეესაბამება და უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელისა და კონტინგენტის შეუფერხებელ დაფინანსებას.

1953 წლის ბიუჯეტით განათლების ღონისძიებებზე გათვალისწინებულია დაიხარჯოს 1.076 მილიონი მანეთი, ანუ 48 მილიონი მანეთით მეტი ვიდრე 1952 წელს; აქედან 713.243 ათასი მანეთი, ანუ 66,6 პროცენტი, დაიხარჯება საყოველთაო განათლების, ბავშვთა აღზრდისა და მოზრდილთა სწავლების ღონისძიებებზე.

1953 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საყოველთაო სწავლების 4.237 სკოლაში 682.000 მოსწავლეა.

საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევს ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის საქმეს. 1928-29 წლებში განათლების სამინისტროს სისტემაში მუშაობდა 94 საბავშვო ბაღი, სადაც მოთავსებული იყო 7.223 ბავშვი, 1953 წელს კი იმუშავებს 381 საბავშვო ბაღი 17.500 ბავშვით. საბავშვო ბაღების შენახვაზე წელს ბიუჯეტიდან დაიხარჯება 40 მილიონ მანეთზე მეტი.

პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის დაწესებულებათა შენახვაზე 1953 წლის ბიუჯეტით დაიხარჯება 49 მილიონი მანეთი, ნაცვლად 1952 წელს დახარჯული 43 მილიონი მანეთისა. ეს თანხა უზრუნველყოფს 624 მასობრივი ბიბლიოთეკის, 103 კლუბისა და კულტურის სახლის, 441 ქოხ-სამკითხველოს და 1.029 სასოფლო კლუბის შენახვას.

ბიუჯეტით დიდი თანხებია გამოყოფილი მეცნიერების შემდგომი აღმავლობისათვის. თუ 1940 წელს სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების შენახვაზე დახარჯული იყო 34 მილიონი მანეთი, ხოლო 1946 წელს 71,4 მილიონი მანეთი, 1953 წელს გათვალისწინებულია 104,9 მილიონი მანეთი.

იზრდება ბიუჯეტიდან ასიგნობანი ბეჭდვითი სიტყვის ღონისძიებებზე. ამ მიზნით 1953 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია დაიხარჯოს 16,2 მილიონი მანეთი, ნაცვლად 1952 წელს ფაქტიურად დახარჯული 14,6 მილიონი მანეთისა.

რესპუბლიკის 1953 წლის ბიუჯეტის პროექტით სახალხო ჯანმრთელობის დაცვასა და ფიზკულტურის ღონისძიებებზე გათვალისწინებულია დაიხარჯოს 473,1 მილიონი მანეთი. 1953 წელს ხარჯები ჯანმრთელობის დაცვასა და ფიზკულტურაზე 1952 წლის ხარჯებთან შედარებით იზრდება 44,7 მილიონი მანეთით, ანუ 10,5 პროცენტით.

საგრძნობლად ფართოვდება საავადმყოფოების, დისპანსერების, სამშობიარო სახლების, სანატორიუმების და საბავშვო ბაგების ქსელი.

1953 წლის დამლევისათვის გათვალისწინებულია ქალაქად საავადმყოფოებში საწოლთა რაოდენობა აყვანილ იქნას 15.950-მდე, ხოლო სოფლად 5.000-მდე; ბავშვთა ბაგებში იმოქმედებს ქალაქად 7.000 და სოფლად 6.100 ადგილი.

სამკურნალო-პროფილაქტიკური ქსელის გაფართოების გარდა, ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები იზრდება აკადემიოფთა კვებისა და მედიკამენტების ხარჯვის არსებული ნორმების გადიდების გამო, აგრეთვე საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების და სხვა სამკურნალო დაწესებულებების კეთილმოწყობაზე, სამეურნეო ინვენტარის და სპეციალური სამედიცინო ინვენტარის შეძენაზე ასიგნობათა გადიდებით.

1953 წელს რესპუბლიკის კურორტები ბიუჯეტიდან მიიღებენ 12.607 ათას მანეთს და, გარდა ამისა, საკუთარი სახსრებიდან კურორტების რემონტსა და კეთილმოწყობაზე დაიხარჯება 16,8 მილიონი მანეთი. 1953 წელს რესპუბლიკის კურორტებზე იმუშავებს 37 სანატორიუმი 4.910 საწოლით, გაატარებს 32.450 დამსვენებელს.

საქართველოს სსრ ადგილობრივი ბიუჯეტები 1953 წლისათვის

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების 1953 წლის ბიუჯეტების მოცულობა განისაზღვრება 1.515,4 მილიონი მანეთით.

ადგილობრივი ბიუჯეტები გათვალისწინებულია შემდეგი თანხებით: აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა — 160.342 ათასი მანეთით, აჭარის ასს რესპუბლიკისა — 121.107 ათასი მანეთით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა — 63.818 ათასი მანეთით, ქ. თბილისისა — 317.479 ათასი მანეთით, ქ. ქუთაისისა — 56.847 ათასი მანეთით, ქ. ფოთისა — 19.728 ათასი მანეთით, ქ. ჭიათურისა — 10.985 ათასი მანეთით და ქ. გორისა — 20.195 ათასი მანეთით.

რაიონების ბიუჯეტების მოცულობა მოცემულია დეპუტატებისათვის დარიგებულ მასალებში და აქ მისი გამეორება ზედმეტი იქნებოდა.

ადგილობრივი ბიუჯეტებით გათვალისწინებული სახსრები სავსებით უზრუნველყოფს იმ ღონისძიებათა დაფინანსებას, რაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით დასახულია ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების განვითარებისათვის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა დარგების შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად.

ადგილობრივი ორგანოების ამოცანაა უზრუნველყონ ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების მობილიზაცია და მათი სწორად, დანიშნულებისამებრ და მომჭირნეობით გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი საქალაქო და რაიონული აღმასკომები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ბიუჯეტების შესრულებას. ბოგდანოვკის, ახმეტის, ბორჯომის, გორის, გურჯაანის, სამტრედიის, საჩხერის, ჩხოროწყუს, ზესტაფონის, ტყიბულის და ზოგიერთმა სხვა რაიონმა გასულ წელს ვერ უზრუნველყვეს ბიუჯეტის შემოსავლის შესრულება და დაუშვეს გადასახდელთა ნარჩენების დაგროვება.

ბევრ რაიონში მოუწესრიგებელია სასოფლო საბჭოების ბიუჯეტების დაგეგმვისა და შესრულების საკითხი. რაიონული აღმასკომები და საფინანსო ორგანოები ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევენ სასოფლო საბჭოებს საფინანსო მეურნეობის მოწესრიგების, ბიუჯეტის სწორად შედგენისა და სახსრების მომჭირნეობით გამოყენების საქმეში.

ბევრ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში სუსტად არის დაყენებული კონტროლი სახსრების ხარჯვისადმი, ვხვდებით საფინანსო დისციპლინის სერიოზულ დარღვევებს და საბიუჯეტო სახსრების არადანიშნულებით ხარჯვას.

გასულ წელს საფინანსო დისციპლინის უხეშად დარღვევის ფაქტები იყო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, დუშეთის, სიღნაღის, ლანჩხუთის, თელავის, ქარელის, გორის, დმანისის, ხაშურის, სტალინირის, გეგეჭკორის, თერჯოლის და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

აუცილებლად საჭიროა ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა აღმოფხვრან საფინანსო-საბიუჯეტო მუშაობაში დაშვებული დარღვევები და უკანონო ხარჯების გაწევის შემთხვევები, მეტი ყურადღება მიაქციონ საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო-საფინანსო საკითხებს და ყოველდღიური

(დასასრული მე-3 გვერდზე)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის კ. ს. ციმაკურიძის მოხსენება

(დასასრული)

დახმარება გაუწიონ საფინანსო ორგანოებს ბიუჯეტის შესრულებაში, სამეურნეო გეგმების შესრულებისა და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისადმი კონტროლის განხორციელებაში.

თავის მხრივ საფინანსო ორგანოებმა მკვეთრად უნდა გააუმჯობესონ მუშაობა, რათა დროზე და სრულად შემოვიდეს ბიუჯეტში გათვალისწინებული შემოსავალი, გააძლიერონ მომთხოვნელობა ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის მიმართ ბიუჯეტის წინაშე მათი ვალდებულებების შესრულებისა და საფინანსო და მატერიალური რესურსების ხარჯვაში სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვის საქმეში.

გავზარდოთ წარმოების რენტაბელობა, გავაძლიეროთ მომჭირნეობის რეჟიმი

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მეხუთე სესიაზე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა მალენკოვმა დიდი ამოცანები დასახა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. „იმ გადაუდებელი ამოცანების გადასაწყვეტად, — განაცხადა ამხანაგმა მალენკოვმა, — რომლებიც ჩვენს წინაშე დგას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის დარგში და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში, საჭიროა ახალ, მნიშვნელოვნად უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ მთელი ჩვენი სამეურნეო და ორგანიზაციული მუშაობა“.

წარმოების სწორ ორგანიზაციას, მატერიალური და ფულადი სახსრების ხარჯვაში მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას და ამ საფუძველზე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის, მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

მომჭირნეობის უსასტიკესი რეჟიმის განხორციელებას და წარმოების რენტაბელობის გადიდებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა და სისტემატურად მცირდება მასობრივი მოხმარების საქონლის ფასები.

მიღწეულ უნდა იქნას, რომ ყველა საწარმო ასრულებდეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმას, აღიდებდეს წარმოების რენტაბელობას და ანაღდებდეს თავის ვალდებულებას სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე.

უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს რესპუბლიკის საწარმოებმა ვერ შეასრულეს დაგროვების გეგმები და თავიანთი ვალდებულებანი ბიუჯეტის წინაშე.

ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ ვერ შეასრულა 1952 წელს დაგროვების გეგმა 5,9 მილიონი მანეთით, ვაჭრობის სამინისტრომ 23,6 მილიონი მანეთით, საშენ მასალათა სამინისტრომ 9.435 ათასი მანეთით და სხვ.

მსუბუქი და კვების მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებმა დაგროვების გეგმა მთლიანად გადაჭარბებით შეასრულეს, მაგრამ ამ სამინისტროების შემადგენლობაში ცოტა როდია ისეთი საწარმო, რომლებმაც თვითღირებულების შემცირების დავალება ვერ შეასრულეს და ზარალით დაამთავრეს სამეურნეო წელი.

საწარმოებში ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული შრომის ნაყოფიერების გადიდების, მატერიალურ ფასეულობათა მომჭირნეობით ხარჯვისა და ზედნადები ხარჯების შემცირების ყველა საშუალება. გარდა ამისა, ზოგიერთ საწარმოში ვხვდებით უნაყოფო ხარჯების ზრდასაც და ბევრ შემთხვევაში საგეგმო და საფინანსო დისციპლინის დარღვევის ფაქტებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა ცალკეული სამინისტროების სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის 1952 წლის შედეგები და მისცა კონკრეტული დავალებანი სამინისტროთა და საწარმოთა ხელმძღვანელებს — აღმოფხვრან საგეგმო-საფინანსო დისციპლინის დარღვევები, განახორციელონ სასტიკი კონტროლი ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის მიმართ მათ მიერ საწარმოო და საფინანსო გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად და მიიღონ ღონისძიებანი მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საჭიროა სამინისტროს ხელმძღვანელებმა საგრძნობლად გააუმჯობესონ საწარმოო და საფინანსო დაგეგმვის საქმე და ფართოდ გამოიყენონ მოწინავე ფაბრიკა-ქარხნების გამოცდილება თვითღირებულების გეგმების შედგენა-გამომუშავებისას, ნედლეულის და მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის იმ ნორმების გათვალისწინებით, რომლებიც ამ მოწინავე საწარმოებშია მიღწეული.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხს და წარმოების რენტაბელობას ბევრი სამეურნეო ხელმძღვანელი საჭირო ყურადღებას არ აქცევს. უნდა გვახსოვდეს, რომ თვითღირებულება ძირითადი მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს საწარმოს მთელი მუშაობის ხარისხს.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში ჯერ კიდევ ბევრია ზარალიანი საწარმოები, რომელთა პროდუქციის თვითღირებულება ამ პროდუქციის დაწესებულ ფასზე მაღალია. ასეთი საწარმოების ზარალი იფარება რენტაბელური საწარმოების მოგებით, ზოგიერთ შემთხვევაში კი უშუალოდ ბიუჯეტიდან.

საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის 43 საწარმოში 1952 წელს დაგეგმილი იყო ზარალი 30,6 მილიონი მანეთის ოდენობით. ზარალით მუშაობა დაგეგმილია ისეთ საწარმოებში, როგორიც არის ფეხსაცმლის ფაბრიკები № 3 და № 4, ქუთაისისა და სუხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატები, სამკერვალო ფაბრიკები, სამკერვალო ატელიეები, ვარციხისა და გიაურარხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები და სხვ.

1952 წელს ზარალი დაგეგმილი ჰქონდა სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროში შემავალი საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის რვა მეურნეობას, ლიმმანტრესტში შემავალ 16 ორგანიზაციას, საქაბრეშუმტრესტის 10 ორგანიზაციას და ა. შ. ასეთივე მდგომარეობაა სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროსა და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში.

ზარალიანი საწარმოების არსებობა, რომლებიც მოწინავე საწარმოთა ხარჯზე ცხოვრობენ, ძირს უთხრის სამეურნეო ანგარიშს და არ ქმნის დაგროვების გადიდების საჭირო სტიმულს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა ეს საკითხი და დაავალა სამინისტროებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს დაამუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი საწარმოების ზარალიანობის მკვეთრად შემცირებისა და ლიკვიდაციისათვის და თავიანთი წინადადებანი ერთი თვის ვადაში წარუდგინონ მინისტრთა საბჭოს.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გადამწყვეტი პირობაა საწარმოო დავალებათა შესრულება. იმ საწარმოებში, სადაც არ სრულდება პროდუქციის გამოშვების გეგმა დაწესებული ასორტიმენტის მიხედვით, სადაც შრომის ნაყოფიერება დაბალია, აუცილებლად არის პროდუქციის თვითღირებულების გაძვირება და ზარალიანობა.

შარშან საქართველოს სსრ საშენ მასალათა სამინისტროში შემავალმა 15 საწარმომ ვერ შეასრულა საგეგმო დავალებანი და ამის გამო სამინისტროს მიერ პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმის შესრულება მხოლოდ 81,3 პროცენტს შეადგენდა. საწარმოო გეგმის შეუსრულებლობამ გამოიწვია თვითღირებულების გადიდება 9,6 პროცენტით ანუ 3,5 მილიონი მანეთით. უყაირათო მუშაობის და საგეგმო დისციპლინის დარღვევის შედეგად საწარმოებმა ვერ გამოუშვეს სახალხო მეურნეობისათვის მეტად საჭირო 20 მილიონ ცალზე მეტი აგური და სამეურნეო წელი დაამთავრეს 8.025 ათასი მანეთის ზარალით.

საგეგმო დავალებათა ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებაში ცუდი მაჩვენებლები ჰქონდათ გასულ წელს სარეწაო კოოპერაციის საწარმოებს. პროდუქციის 60 სახიდან საგეგმო დავალება შეუსრულებელი დარჩა 38 სახეში. გარდა ამისა, საგრძნობი რაოდენობით გამოშვებულ იქნა დაბალი ხარისხის და წუნდებული პროდუქცია.

მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკამ 1952 წელს დაარღვია მიცემული ასორტიმენტის გეგმა. პირველი ხარისხის პროდუქცია ფაბრიკამ გამოუშვა 55,9 პროცენტის რაოდენობით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 75 პროცენტისა. ნაწილი პროდუქციისა კი უვარგისი აღმოჩნდა. სავაჭრო ორგანიზაციებმა ფაბრიკას დაუბრუნეს 1.006 წყვილი წუნდებული ფეხსაცმელი. მარტო პროდუქციის დაბალი ხარისხით გამოწვეულმა დანაკარგებმა 277 ათას მანეთს მიაღწია.

სრული უყაირათობის და ცუდი მუშაობის ნიმუშს წარმოადგენს თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკა, სადაც დირექტორად ამხ. ჩარაევი მუშაობს. მიმდინარე წლის 5 თვის განმავლობაში წარმოების გეგმა ფაბრიკამ შეასრულა 96,7 პროცენტით და სახელმწიფოს დააკლო 1.260 ათასი მანეთის პროდუქცია. ნედლეულის ხარჯვის ნორმების დარღვევის შედეგად გადახარჯულ იქნა 27.314 მეტრი ბამბის ქსოვილი და 6.712 მეტრი შალისა და აბრეშუმის ქსოვილები. შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება ფაბრიკამ 90,6 პროცენტით შეასრულა და ყოველივე ამის შედეგად პროდუქციის თვითღირებულება გადიდდა 1.437 ათასი მანეთით. ფაბრიკამ 1.630 ათასი მანეთი დაგეგმილი მოგების ნაცვლად 77 ათასი მანეთი ზარალი მიიღო.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამშენებლო ორგანიზაციებში თვითღირებულების შემცირების საკითხს. იმის გამო, რომ მოწესრიგებული არ არის შრომის ორგანიზაცია, მასალებით მომარაგება, სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული მექანიზმები და დაცული არ არის საშენი მასალების ხარჯვის ნორმები, რესპუბლიკის თითქმის ყველა სამშენებლო ორგანიზაცია ყოველ სამეურნეო წელს დიდი ზარალით ამთავრებს.

დიდი დანაკარგების შედეგად გასული სამეურნეო წელი ზარალით დაამთავრეს: საქმშენმა — 7.377 ათასი მანეთის, თბილისმშენმა — 4.918 ათასი მანეთის, ქუთაისმშენმა — 4.396 ათასი მანეთის, მსუბუქი და კვების მრეწველობის სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტმა — 7.850 ათასი მანეთის და ჩაის სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტმა — 7.632 ათასი მანეთის რაოდენობით.

საჭიროა კომუნალური მეურნეობის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტრომ, მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრომ და სხვა სამინისტროებმა მნიშვნელოვნად გააძლიერონ მომჭირნეობის რეჟიმი სამშენებლო ორგანიზაციებში და შრომის ორგანიზაციის უკეთ დაყენებით, მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვით, საშენ მასალათა ხარჯვის ნორმებისა და ზედნადები ხარჯების შემცირებით მიაღწიონ მშენებლობის გაიაფებას და რენტაბელურ მუშაობას.

სამშენებლო საქმის სუსტი ორგანიზაციის შედეგად, რესპუბლიკის კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულებას გასულ წელს 51 მილიონი მანეთი დააკლდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემავალმა ორგანიზაციებმა კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულებას დააკლეს 34 მილიონი მანეთი, მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრომ — 10,7 მილიონი მანეთი, საშენ მასალათა სამინისტრომ— 5,1 მილიონი მანეთი. ადგილობრივი საბჭოების საბინაო მშენებლობაზე ათვისებული არ იქნა 2,5 მილიონი მანეთი და სკოლების მშენებლობაზე 1,5 მილიონ მანეთზე მეტი.

წელს საგრძნობი ჩამორჩენაა კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებაში. მშენებლობის ნახევარი წლის გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 84,0 პროცენტით.

განსაკუთრებით დიდი ჩამორჩენაა სკოლების მშენებლობაში. მიმდინარე წლის 7 თვის განმავლობაში სკოლების მშენებლობაზე შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა შეადგენს 2,3 მილიონ მანეთს, ანუ წლიური გეგმის 20,9 პროცენტს. ქალაქ თბილისში სკოლების მშენებლობაზე გათვალისწინებული 4.556 ათასი მანეთიდან 7 თვის განმავლობაში შესრულებულია 340 ათასი მანეთის სამუშაო. ასევე დიდი ჩამორჩენაა სკოლების მშენებლობის მხრივ ქალაქებში ქუთაისსა და ბათუმში, თელავის, ლაგოდეხის, ქარელის, ხობის, ზნაურის და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

ამხანაგმა მალენკოვმა თავის სიტყვაში განსაკუთრებული ადგილი დაუთმო საცხოვრებელი ბინების, სკოლების, საბავშვო დაწესებულებებისა და საავადმყოფოების მშენებლობის საჭიროებას.

ეს მეტად დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს განათლების და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს და ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, რომლებიც მოვალენი არიან გააძლიერონ ზრუნვა სკოლების, საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებების მშენებლობისათვის. მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული კაპიტალურ დაბანდებათა თანხები მთლიანად იქნას ათვისებული.

დასახული გეგმების წარმატებით შესრულებისათვის და სამეურნეო ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით საკავშირო მთავრობის დადგენილებით განხორციელდა სამინისტროების გამსხვილება. გარდა ამისა, ჩვენს რესპუბლიკაში გაუქმებულ იქნა თბილისის და ქუთაისის ოლქები. სახელმწიფო აპარატის სისტემაში ზედმეტი რგოლების ლიკვიდაციის შედეგად საგრძნობლად შემცირდა მმართველობის ხარჯები. მიმდინარე წელს რესპუბლიკის ბიუჯეტით სახელმწიფო აპარატის შენახვაზე დაიხარჯება 27 მილიონი მანეთით ნაკლები, ვიდრე გასული წლის ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული.

გარდა ამისა, სახელმწიფო აპარატის სისტემაში ზედმეტი რგოლების ლიკვიდაციამ შექმნა ხელსაყრელი პირობები სამეურნეო მუშაობისადმი ხელმძღვანელობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის და შესაძლებელი გახადა ძირეული ორგანიზებისა და საწარმოების მუშაობისადმი ოპერატიული და კონკრეტული ხელმძღვანელობის გაძლიერება.

საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომი ახალი ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დადგენილებებიდან, მეტად ადიდებს სამინისტროების და ხელისუფლების რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობას სახალხო მეურნეობის საწარმოო და საფინანსო გეგმების შესრულებას საქმეში.

თვითეული სამინისტროს, სამმართველოს და საწარმოს ხელმძღვანელები უფრო ღრმად უნდა ჩაწვდნენ საწარმოთა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას, გააძლიერონ მათდამი კონტროლი, და წარმოებაში მოწინავე ტექნიკის და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის საფუძველზე მიაღწიონ ყველა საწარმოს მიერ პროდუქციის ხარისხის ამაღლებას და თვითღირებულების შემცირების გეგმის შესრულებას.

საფინანსო ორგანოები ჯერ კიდევ ვერ დგანან თავიანთი მოწოდების სიმაღლეზე. მათ მკვეთრად უნდა გააუმჯობესონ საფინანსო კონტროლი სამეურნეო გეგმების შესრულებისა და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისადმი, უფრო გულდასმით შეისწავლონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგი და წარმოების ეკონომიკა.

საფინანსო ორგანოებს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს საგადასახადო კანონმდებლობის განუხრელად გატარების უზრუნველყოფა, მშრომელთა საჩივრების გულისხმიერად შემოწმება და განხილვა. არ უნდა იქნას დაშვებული საგადასახადო პოლიტიკის დამახინჯების შემთხვევები. საფინანსო ორგანოთა ხელმძღვანელებმა სისტემატურად უნდა ადევნონ თვალყური საფინანსო გეგმების შესრულებას და გაძლიერონ მუშაობა ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა სახის შემოსავლის შესრულების უზრუნველყოფისათვის.

ამ საქმეში საფინანსო ორგანოებს სათანადო დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივმა საბჭოთა და პარტიულმა ორგანოებმა.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა ერთიან ოჯახში ქართველმა ხალხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით უდიდესი წარმატებები მოიპოვა სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

სსრ კავშირის ბიუჯეტი, რომლის შემადგენელ ნაწილს საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტი წარმოადგენს, მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის ბიუჯეტია. ქართველი ხალხი, ისე როგორც არასოდეს, მომავლის მტკიცე რწმენით დარაზმულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო, და ვერავითარი ცდები ბერიას ტიპის პროვოკატორებისა და ხალხის მტრებისა ვერ დაარღვევს საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის ათეული წლების მანძილზე განმტკიცებულ მეგობრობასა და ერთიანობას.

რესპუბლიკაში შექმნილია მოწინავე საბჭოთა ტექნიკით აღჭურვილი სოციალისტური ინდუსტრია, მოპოვებულია უდიდესი წარმატებანი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ტექნიკით შეიარაღების საქმეში. ჩვენში არსებობს ყველა პირობა იმისათვის, რომ განვახორციელოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანა — ხალხის განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება.

საქართველოს სსრ 1953 წლის ბიუჯეტი, რომელიც წარმოდგენილია სესიის დასამტკიცებლად, უზრუნველყოფს მომდინარე წელს ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების გადაწყვეტას და ხელს შეუწყობს პარტიის და მთავრობის მიერ დასახული დიდი ისტორიული ამოცანის გადაჭრას — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას. (ხანგრძლივი ტაში).

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. გიგოშვილის თანამოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ განიხილა უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად მთავრობის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და ანგარიში საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ და დამავალა მოვახსენო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიას მიღებული დასკვნა.

1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დამტკიცებული იყო შემოსავლის ნაწილში 2.793.378 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 2.747.417 ათასი მანეთის ოდენობით.

ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის შესრულება უდრის 2.901.925 ათას მანეთს რაც 108.547 ათასი მანეთით მეტია, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული, ანუ ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი შესრულებული იყო 103,7 პროცენტით.

რესპუბლიკის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი შესრულებულია 2.654.710 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ 94,8 პროცენტით.

ამრიგად, 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგად გასავალზე შემოსავლის გადამეტება უდრის 247.215 ათას მანეთს.

შემოსავლის წარმატებით შესრულებამ შესაძლებელი გახადა უზრუნველგვეყო ყველა ღონისძიების დაფინანსება სახალხო მეურნეობის განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ 1952 წელს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებაზე გათვალისწინებული სახსრები ვერ იქნა მთლიანად ათვისებული.

სახელმწიფო ბიუჯეტით სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა გეგმის შეუსრულებლობა შეადგენს 64.909 ათას მანეთს.

სახალხო განათლების ორგანოებმა ვერ აითვისეს რესპუბლიკური ბიუჯეტით 14.827 ათასი მანეთი და ადგილობრივი ბიუჯეტით 19.723 ათასი მანეთი. სულ 34.550 ათასი მანეთი.

საერთო განათლებაზე და ბავშვთა აღზრდის ღონისძიებებზე სახელმწიფო ბიუჯეტით აუთვისებელი დარჩა 20.293 ათასი მანეთი, კადრების მომზადების ხაზით 9.547 ათასი მანეთი და ა. შ.

ხშირ შემთხვევაში განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების და სავაჭრო ორგანიზაციების მოუქნელი მუშაობის შედეგად მთელ რიგ საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებებში სრულად ვერ გამოიყენეს კვებაზე გათვალისწინებული თანხები: ბავშვები და ავადმყოფები სრულად ვერ იღებენ კვების იმ ნორმებს, რაც დაწესებულია მთავრობის მიერ.

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა ვერ გამოიყენეს ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებიდან 25.727 ათასი მანეთი, მათ შორის ხელფასის ფონდი 8 მილიონი მანეთი. ეს უკანასკნელი გამოწვეულია იმით, რომ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს სამკურნალო დაწესებულებათა შტატების დაკომპლექტება საშუალო და დაბალი სამედიცინო პერსონალით. ნაცვლად გათვალისწინებული 17.226 საშტატო ერთეულისა, სამედიცინო დაწესებულებებში 1952 წელს ფაქტიურად მუშაობდა საშუალო პერსონალის 16.870 მუშაკი.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად დაამთავრა სახელმწიფო ბიუჯეტით წელი ფიზიკური კულტურისა და სპორტის ყოფილმა კომიტეტმა. მან ნაცვლად დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 12.382 ათასი მანეთისა გამოიყენა მხოლოდ 10.489 ათასი მანეთი. ამრიგად, გამოუყენებელი დარჩა ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის 15 პროცენტი.

სახელმწიფო კომისიამ დამავალა ხაზი გამესვა იმ გარემოებისათვის, რომ ასეთი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა თანხების ათვისების მხრივ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობაში მეორდება ყოველწლიურად. აქედან სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ამხ. ხელიძემ და განათლების მინისტრმა ამხ. წულუკიძემ.

შემოსავლის გეგმების ძირითადი გადაჭარბება 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალისტურ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა გადასახდელებიდან არის მიღებული.

1952 წელს საქართველოს სსრ სამრეწველო სამინისტროებმა უმრავლესობამ მიაღწია საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების პროგრამის, თვითღირებულების შემცირების სახელმწიფო დავალებასა და მოგების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

ბიუჯეტში მოგების ანარიცხების გეგმას გადაამეტეს: კვების მრეწველობის დარგებში 25.206 ათასი მანეთით, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ — 6.766 ათასი მანეთით და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაზით — 1.281 ათასი მანეთით.

მთელმა რიგმა სამრეწველო საწარმოებმა 1952 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა დასრულეს დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით და უკლებლივ შეასრულეს ყველა ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე.

ასეთები არიან სამტრესტის ქუთაისის საქარხნო სამმართველო და კონიაკის ქარხანა, ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხანა, საქართველოს ჩაის ტრესტის ლაითურის ჩაის ფაბრიკა და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ გასული წელი სახალხო მეურნეობის ძირითადმა დარგებმა მნიშვნელოვანი მიღწევებით დაამთავრეს, ჯერ კიდევ არის ზოგიერთი საწარმო, რომელსაც ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი.

არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად საბურთალოს მშრალი წნეხვის აგურის ქარხანამ მიიღო ზარალი 247 ათასი მანეთის ოდენობით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.598 ათასი მანეთი მოგებისა.

მეტეხის მშრალი წნეხვის აგურის ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა მხოლოდ 49 პროცენტით, სახელმწიფოს დააკლო 9.566 ათასი ცალი აგური და სამეურნეო წელი დაასრულა 1.698 ათასი მანეთი ზარალათ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 472 ათასი მანეთისა.

სამტრესტის მუკუზნის საბჭოთა მეურნეობამ ჰექტარზე აიღო 44,5 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერისა, და სახელმწიფოს დააკლო 526 ცენტნერი ყურძენი, 74 მანეთით გაადიდა ცენტნერი ყურძნის და 3 მანეთით დეკალიტრი ღვინომასალის თვითღირებულება.

სამტრესტის გომის სპირტის ქარხანამ მასალების გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესის უხეში დარღვევის შედეგად, სპირტის გამოსავლიანობა შეამცირა გეგმასთან შედარებით 4.709 დეკალიტრით და დაუშვა სპირტის ზეგეგმითი გაძვირება 591 ათასი მანეთით.

საჭიროა ხსენებულ საწარმოთა ხელმძღვანელებმა სათანადო დასკვნები გამოიტანონ გასული წლის მათი სამეურნეო საქმიანობის შედეგებიდან და მიმდინარე წელს უზრუნველყონ აღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია.

სოციალისტური მეურნეობის საწარმოებს და საბიუჯეტო ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ სახელმწიფო სახსრების მიზნობრივად და მომჭირნეობით გამოყენების საქმეში.

მიუხედავად ამისა, ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებულ შემოწმებათა შედეგად გამოვლინებულია უკანონო ხარჯების გაწევისა და საბიუჯეტო დისციპლინის უხეში დარღვევის შემთხვევები.

გალის რაიონში კულტურის სახლის მშენებლობაზე გაწეულია უკანონო ხარჯები 808 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან 366 ათასი მანეთი კოლმეურნეობათა სახსრები.

გუდაუთის რაიაღმასკომმა გეგმით გაუთვალისწინებელი ახალი სკოლის მშენებლობაზე დახარჯა 1.638 ათასი მანეთი, აქედან 1.203 ათასი მანეთი კოლმეურნეობათა სახსრები.

ქ. სუხუმში სახალხო მეურნეობის გეგმით გაუთვალისწინებელ კაპიტალურ დაბანდებებზე დახარჯულია 2.500 ათასი მანეთი.

ჯავის რაიაღმასკომის მიერ გეგმით გაუთვალისწინებელი სასტუმროს და სასამართლოს შენობის აგებაზე გაწეული ხარჯი უდრის 298 ათას მანეთს.

თელავის რაიონში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რემონტზე გათვალისწინებული სახსრებიდან საბაფხულო კინოთეატრის მშენებლობაზე დახარჯულია 105 ათასი მანეთი.

1952 წელს გამოვლინებულ იქნა აგრეთვე სახელმწიფო ფულადი სახსრების და სასაქონლო ფასეულობათა მითვისება-გაფლანგვის შემთხვევები:

ცაგერის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციაში და მასი სისტემის სასოფლო სავაჭრო ქსელში — 1.125 ათასი მანეთის, ტრესტ „აფხაზმომარაგებაში“ — 818 ათასი მანეთის, ბათუმის პიონერთა პარკში — 576 ათასი მანეთის ოდენობით. დიდი გაფლანგვები იყო აგრეთვე მთელ რიგ სავაჭრო, კოოპერაციულ და სამეურნეო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

საბიუჯეტო და საშტატო დისციპლინისა და სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში დიდი როლი ეკუთვნის საუწყებო საფინანსო კონტროლს. უნდა ითქვას, რომ ეს აპარატი მთელ რიგ სამინისტროებში არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. ხშირ შემთხვევებში რევიზიები ჯერ კიდევ დაბალი დონით ხორციელდება, მნიშვნელოვნად ყოვნდება რევიზიებს შედეგების მიხედვით გადაწყვეტილებათა მიღება, რაც ამცირებს რევიზიების ეფექტიანობას.

ამიტომ საჭიროა ყველა სამინისტრომ გააძლიეროს საუწყებო კონტროლი, ფინანსთა სამინისტრომ კი თავის

(დასასრული მე-4 გვერდზე)

გავაძლიეროთ საფინანსო ორგანოთა დახმარება

(დასასრული)

...ეროვნული ეკონომიკა

...ეროვნული ეკონომიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომაები

საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. გიგოშვილის თანამოხსენება

(დასასრული)

მხრივ გააძლიეროს საუწყებო-საფინანსო კონტროლის მუშაობის შემოწმება სამინისტროებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

ამავე მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ანგარიშწარმოების მუშაკების სწორად შერჩევას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში წარმოდგენილია 2.692.716 ათასი მანეთის მოცულობით, რაც 38 მილიონი მანეთით მეტია გასული წლის ბიუჯეტით გაწეულ ფაქტიურ ხარჯებზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლის წყაროს, როგორც წინა წლებში, შეადგენს სოციალისტურ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა დაგროვება და შემოსავალი.

ბრუნვის გადასახადი, ანარიცხების სახით, უნდა შემოვიდეს 1953 წლის ბიუჯეტით 861.993 ათასი მანეთის ოდენობით. სახელმწიფო საწარმოთა მოგების ანარიცხები მიმდინარე წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 720.892 ათასი მანეთის ოდენობით.

1953 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია ხარჯები სახალხო მეურნეობაზე 747.384 ათასი მანეთის ოდენობით. სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებიდან ბიუჯეტი დაფინანსებს: მრეწველობას 166.309 ათასი მანეთით, სოფლის მეურნეობას — 212.051 ათასი მანეთით, კომუნალურ მეურნეობას — 186.109 ათასი მანეთით.

ეს თანხები უზრუნველყოფს ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას, სახალხო მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის ამაღლებას, საბრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვების გადიდებას.

განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოც-უზრუნველყოფის ღონისძიებათა დასაფინანსებლად 1953 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს 1.721.186 ათას მანეთს, რაც 102.586 ათასი მანეთით მეტია, ვიდრე ფაქტიურად დაიხარჯა 1952 წელს.

აქედან: სახალხო განათლების ღონისძიებათა დასაფინანსებლად გამოყენებული იქნება 1.076.458 ათასი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვის და ფიზკულტურულ ღონისძიებებს მოხმარდება 473.101 ათასი მანეთი და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებს — 171.627 ათასი მანეთი.

სოც-კულტურული ღონისძიებებისათვის ასიგნობათა მნიშვნელოვანი გადიდება უზრუნველყოფს სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, ბიბლიოთეკებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის შემდგომ გაფართოებას, სამედიცინო დაწესებულებათა რაოდენობის ზრდას და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას.

* * *

ჩვენს რესპუბლიკას მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებაში, ქართველმა მწერლებმა, კომპოზიტორებმა, მხატვრებმა, რეჟისორებმა, მსახიობებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენი დიდი საბჭოთა ეპოქის გმირი ხალხის პატრიოტიზმისა და სოციალისტური შრომის მხატვრული ასახვის საქმეში. პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის შედეგად ჩვენში იზრდებიან ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, რეჟისორები, მსახიობები. მაგრამ მიუხედავად აღნიშნული მიღწევებისა, ამ მხრივ მრავალი ნაკლიც გვაქვს და ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი. ეჭვს გარეშეა, საქართველოს კულტურის სამინისტრო და მწერალთა კავშირი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ უკეთ დარაზმონ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები მათ წინაშე მდგომი საპატიო ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად. ამ დიდი იდეოლოგიური მნიშვნელობის საქმეს ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყურადღებას აქცევს და დახმარებას უწევს, მაგრამ ეს დარგები უფრო მეტ ყურადღებასა და დახმარებას საჭიროებენ, და იმედია, რომ მომავალში ეს უზრუნველყოფილი იქნება.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს სესიის დასამტკიცებლად წარმოდგენილი 1953 წლის ბიუჯეტის პროექტი შედგენილია სახალხო მეურნეობის გეგმის სრული შესაბამისობით და მიზნად ისახავს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, კულტურის, ხალხის კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას.

საბიუჯეტო კომისიას წინადადება შემოაქვს წარმოდგენილი 1953 წლის ბიუჯეტი და 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დამტკიცდეს უცვლელად.

საბიუჯეტო კომისია მოახსენებს სესიას, რომ კომისიამ განიხილა აგრეთვე ადგილებიდან შემოსული განაცხადები ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში ზოგი ცვლილების შეტანის შესახებ.

სახელდობრ: **აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო** ითხოვს: ქ. ქობულეთში ადმინისტრაციული სახლის მშენებლობის გასაგრძელებლად დამატებით 400 ათას მანეთს, სოფელ შუახევში სასტუმროს მშენებლობისათვის — 200 ათას მანეთს, ქობულეთში სანაპიროს გამაგრების სამუშაოებისათვის — 300 ათას მანეთს და დაბა ქედაში მეწყრის საწინააღმდეგო სამუშაოებისათვის — 300 ათას მანეთს.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მოითხოვს: ქ. სტალინირის და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობაზე — 500 ათას მანეთს, სასკოლო მშენებლობაზე — 500 ათას მანეთს, სტალინირის რაიაღმასკომის შენობისათვის — 138 ათას მანეთს, ზნაურში ხიდის მშენებლობაზე — 150 ათას მანეთს.

ქალაქ ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი ითხოვს: ქალაქის კეთილმოწყობაზე დამატებით 1.200 ათას მანეთს.

ქალაქ გორის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი ითხოვს: გორის საშუალო სკოლის ასაგებად — 1 მილიონ მანეთს, აბანო-სამრეცხაოს შენობისათვის — 1.500 ათას მანეთს, მდინარე მეჯუდის ხიდთან მისასვლელის მოსაწყობად — 450 ათას მანეთს და საყრდენი კედლის ასაგებად — 150 ათას მანეთს.

ვინაიდან ზემოხსენებული მოთხოვნილებანი წარმოადგენენ კაპიტალურ დაბანდებას და მოითხოვენ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით სათანადო ლიმიტის გამოყოფას, საბიუჯეტო კომისიამ გადაწყვიტა ეს საკითხი განსახილველად გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

ამხანაგო დეპუტატებო!

ბიუჯეტის წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა დავსახოთ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიუჯეტის შემოსავლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებას, რათა ფულადი სახსრებით უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის და კულტურის დარგების განვითარება. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმწიფო სახსრების გამოყენებაში საჭიროა მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის დაცვა. უფრო ფართოდ უნდა გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება საწარმოებში და მშენებლობებზე მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობას ყველა საშუალება აქვს იმისათვის, რომ არა მარტო შეასრულოს საწარმოო გეგმებით გათვალისწინებული პროდუქციის გამოშვება, არამედ მნიშვნელოვნად გადააჭარბოს კიდეც მას, გამოუშვას მაღალხარისხოვანი პროდუქცია. შრომის ორგანიზაციის სწორად დაყენების შედეგად, ჩვენი მდიდარი საბჭოთა ტექნიკისა და მთელი საწარმოო საშუალებების სრული გამოყენების საფუძველზე, ჩვენს საწარმოებში და მშენებლობებზე სისტემატურად უნდა იზრდებოდეს შრომის ნაყოფიერება და მცირდებოდეს პროდუქციის თვითღირებულება.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინურ-სტალინური პოლიტიკის შედეგად ჩვენს საბჭოთა სამშობლოში წარმატებით სრულდება კომუნიზმის დიადი მშენებლობის გეგმები, განუწყვეტლივ იზრდება საბჭოთა სახელმწიფოს ნაციონალური შემოსავალი, იქმნება სასურსათო და ფართო მოხმარების საქონლის სიუხვე, რის გამო შესაძლებელი ხდება ყველა საქონლის საცალო ფასების სისტემატური შემცირება.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ მიღებული კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ მოწმობს საბჭოთა ქვეყნის ეკონომიურ ძლიერებას, იგი ახალი, მკაფიო გამოხატულებაა პარტიისა და მთავრობის ზრუნვისა კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის, კოლმეურნე გლეხობისა და მთელი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

კანონიერი სიამაყის გრძნობით, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა ხალხი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ მალენკოვის სიტყვას საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე. თავის გამოსვლაში ამხანაგმა მალენკოვმა დასახა დიადი ამოცანები ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი გაძლიერებისათვის, კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობისათვის, ხალხთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო!

პარტიისა და ხალხის ბოროტი მტრის ბერიას გამომეღავნებამ და მის მიმართ ჩვენი პარტიის მიერ დროული და გადამწყვეტი ზომების მიღებამ კიდევ უფრო განამტკიცა საქართველოს მშრომელების პოლიტიკური და მორალური ერთიანობა, უფრო მჭიდროდ დარაზმა ისინი ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მათს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი ზრდისა და განვითარებისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ხალხთან ერთად შრომისმოყვარე ქართველი ხალხი, მუდამ ერთგული ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისა, შეიარაღებული ჩვენი პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით და მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადების — ლენინისა და სტალინის ყოვლისმძლე მოძღვრებით, არ დაზოგავს ენერგიას და თავის ძალებს, რომ განუხრელად და წარმატებით შეასრულოს ის გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც დასახა საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურმა ამხანაგმა მალენკოვმა კომუნიზმის დიადი მშენებლობის გზაზე ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს ჩვენს დიად კომუნისტურ პარტიას, და მის ლენინურ-სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს.

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას.

(ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრის დახმარება საბერძნეთის მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობისადმი

საბერძნეთის კუნძულებზე კეფალინიაზე, იტაკასა და ზაკინფზე ამ უკანასკნელ დღეებში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დიდად დაზარალდა ამ კუნძულების მოსახლეობა. მთელი რიგი ქალაქები და დასახლებული პუნქტები სავსებით დაინგრა, მნიშვნელოვანი რაოდენობით არის ადამიანთა მსხვერპლი, ათასობით ადამიანი უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩა.

საბჭოთა კავშირის წითელმა ჯვარმა გადაწყვეტილება მიიღო დახმარება გაუწიოს მიწისძვრით დაზარალებულ ბერძენ მოსახლეობას და შემდეგი დეპეშა გაუგზავნა საბერძნეთის წითელი ჯვრის აღმასრულებელ კომიტეტს:

„სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი საბჭოთა საზოგადოებრიობის სახელით უდიდეს თანაგრძნობას უცხადებს ბერძენ ხალხს სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით, რაც თავს დაატყდა კუნძულების კეფალინიის, იტაკისა და ზაკინფის მოსახლეობას.

მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობის ხვედრის შესამსუბუქებლად სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირი საბერძნეთის წითელი ჯვრის აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში გზავნის 250 ათას მანეთს.

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის პრეზიდიუმი.

ვასილ **ხოლოდკოვი**“.

საბჭოთა ფილმების წარმატება კინოფესტივალზე ვენეციაში

რომი, 16 აგვისტო. (საკდესი). საერთაშორისო კინოფესტივალზე ვენეციაში აჩვენეს ორი საბჭოთა ფილმი — სალავშვო მულტიპლიკაციური ფილმი „ვაჟკაცის გული“ (ნაჩვენები იყო ორჯერ) და დოკუმენტალური ფილმი „ნიკიტსკის ბოტანიკური ბაღი“. საბჭოთა ფილმების ჩვენებამ დიდი წარმატებით ჩაიარა და მაყურებელთა არაერთგზისი ტაში გამოიწვია.

საბჭოთა სალავშვო და დოკუმენტალური ფილმების საბოლოო ჩვენება მოხდება 18 აგვისტოს, როცა ნაჩვენები იქნება სურათი „ჩუკი და გეკი“, აგრეთვე მეორედ „მამაცთა არენა“ — დოკუმენტალური ფილმი, რომელსაც უდიდესი წარმატება ჰქონდა ჩვენების პირველ დღეს.

19 აგვისტოს გაიმართება საუკეთესო დოკუმენტალური მოკლემეტრაჟიანი და სალავშვო ფილმებისათვის პრემიების მიმნიჭებელი ჟიურის სხდომა.

კომუნიკე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომის შესახებ

ბერლინი, 17 აგვისტო. (საკდესი). ადნ-ის სააგენტომ გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის უწყების შემდეგი ცნობა:

ორშაბათს, 17 აგვისტოს, მას შემდეგ, რაც ანტიფაშისტურ-დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების ბლოკმა განიხილა საბჭოთა მთავრობის ნოტა გერმანიის საკითხზე და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის გაგზავნილი მიწვევა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო შეიკრიბა საგანგებო სხდომაზე, რათა გამოეთქვა თვალსაზრისი საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების გამო, რომ 20 აგვისტოს მოსკოვში მიწვეულ იქნას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია.

პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა თავის შესავალ სიტყვაში განაცხადა, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ მიწვევას გერმანიის გაერთიანებისა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის გერმანელი ხალხის ბრძოლაში.

მან განაცხადა, რომ ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელი დიდი სიხარულითა და მადლობით მიესალმება საბჭოთა მთავრობის ამ ახალ ინიციატივას, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს და გააძლიერებს მეგობრობას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის.

პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობის 15 აგვისტოს ნოტა საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი შეიცავს მთელ რიგ რეალურ წინადადებებს, რომლებიც უშუალოდ ეახლოებენ გერმანელი ხალხის სამართლიან და გადაუდებელ ეროვნულ მოთხოვნათა შესრულებას.

სრული ერთსულოვნება გამოვლინდა იმაში, რომ საბჭოთა მთავრობის ნოტა რეალური გზაა გერმანიის პრობლემის გადასაჭრელად, მაშინ როცა ადენაუერის პოლიტიკა ითვალისწინებს, რომ დასავლეთი გერმანია შეყვანილ იქნას აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის სისტემაში და ამიტომ შეუთავსებელია ჩვენი სამშობლოს გაერთიანებასთან.

შეგნებული აქვს რა დიდი პასუხისმგებლობა გერმანელი ხალხის წინაშე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო თავის მხრივ ყველაფერს გააკეთებს, რათა მიიღწიოს სრულიად გერმანიის დემოკრატიული მთავრობის რაც შეიძლება მალე შექმნას და სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობას.

ამისათვის აუცილებლად საჭიროა შეთანხმება აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენელთა შორის.

შემდეგ მინისტრთა საბჭომ ერთსულოვნად აირჩია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მოსკოვში მოლაპარაკებისათვის.

ამავე დროს მინისტრთა საბჭომ მთავრობის დელეგაციას დაავალა მადლობა უძღვნას საბჭოთა მთავრობას მიწვევისათვის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი გაწეული უანგარო ყოველმხრივი დახმარებისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება

ბერლინი, 17 აგვისტო. (საკდესი). ადნ-ის სააგენტომ გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის უწყების შემდეგი ცნობა:

1953 წლის 17 აგვისტოს საგანგებო სხდომაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განსაკუთრებული სიხარულითა და მადლობით მიიღო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის განცხადება, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა 1953 წლის 15 აგვისტოს გადასცა ელჩ აპელტს. მინისტრთა საბჭო განსაკუთრებულ მადლობას გამოთქვამს მიწვევისათვის, რომ 20 აგვისტოს გაგზავნოს მოსკოვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, და აცხადებს, რომ საბჭოთა მთავრობის ეს გადაწყვეტილება მას მიაჩნია გერმანელი ხალხის დემოკრატიული ძალებისადმი დიდი ნდობის გამოხატულებად.

ჩვენი ქვეყნის ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიის პატრიოტები მხურვალედ მიესალმებიან მოლაპარაკებას მოსკოვში, რადგან იგი ემსახურება გერმანიის ერთიანობის აღდგენის შესახებ ჩვენი ხალხის გადაუდებელ ეროვნულ მოთხოვნათა რაც შეიძლება მალე განხორციელებას და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხი შეჰყავს გადამწყვეტ სტადიაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო იზიარებს საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ მოლაპარაკება მოსკოვში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება. წინადადება, რომელიც გაკეთებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის 15 აგვისტოს ნოტაში საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატებისადმი, სახავენ რეალურ გზას, რათა გერმანიის საკითხი გადაწყდეს გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესებისა და გერმანიის მეზობლების უშიშროების ინტერესების სასარგებლოდ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის დავალებული აქვს განიხილოს საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად ყველა საკითხი, რომელიც ეხება ურთიერთობის განვითარებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის, აგრეთვე აქტუალური საკითხები, რომლებიც შეეხება მთლიანად გერმანიის პრობლემას.

ირანის ამბები

პარიზი, 17 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბაღდადიდან იუწყება:

ირანის საელჩოს წარმომადგენელმა ბაღდადში დღეს განაცხადა, რომ საელჩომ ერაყის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა ვერბალური ნოტა და მოსთხოვა „ინფორმაცია მიაწოდოს მას ბაღდადში ირანის შაჰის ყოფნის შესახებ“.

ბაღდადის ირანულ წრეებში აცხადებენ, რომ 16 აგვისტოს შაჰისა და მისი მეუღლის ჩამოსვლა ერაყში „სრულიად მოულოდნელი“ იყო და შეიძლება „გაქცევად“ ჩაითვალოს.

ამავე წრეებში აცხადებენ, რომ ირანის საელჩოს პერსონალს შაჰთან კონტაქტი არ დუმყარებია.

პარიზი, 17 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება:

როგორც დღეს ცნობილი გახდა, 16 აგვისტოს პირადი თვითმფრინავით ბაღდადს გაქცეული შაჰის მოჰამედ რეზა პეხლევის სამი ძმა პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. მათ აკრძალული აქვთ გავიდნენ შაჰის სასახლიდან.

როგორც ფიქრობენ, მთავრობა შექმნის სარეგენტო საბჭოს, რომელიც გადაწყვეტს საკითხს თუ რა პოზიცია უნდა დაიკავოს შაჰის ძმების მიმართ.

პარიზი, 17 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს თეირანელი კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, იმ დროს, როცა ირანის პოლიცია თავს დაესხა მეჯლისის წინ მოგროვილ თავმოყრილ ხალხს, დაიჭრა 10 კაცი. პოლიცია ჰაერში სროლით ცდილობდა გაეფანტა შეკრებილნი.

დემონსტრანტებმა, რომლებიც იმ მოედნის მიმიჯნავე ქუჩებში შეიპრნენ, სადაც მეჯლისია, დაანგრიეს ახლანდელი შაჰის მოჰამედ რეზა პეხლევის ქანდაკება, რომელიც ქალაქის ბაღში იდგა.

თეირანი, 17 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს 5 საათზე პარტიების „ირანის“, „ნირუიე სევომის“, „ირანის თავისუფლების საზოგადოების“, პანირანისტებისა და მთავრობის მომხრე სხვა ჯგუფების „ეროვნული მოძრაობის“ ყოფილი საპარლამენტო ფრაქციის მოწოდებით ბაჰარისტანის მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგი მიმდინარეობდა ლოზუნგებით: „მოდალატეთა სასახლე ხალხის მტერია. უნდა აღიგავონ ხალხის გზიდან ისინი, ვინც შვარცკოპფებს ხვდება“ (შვარცკოპფი — ყოფილი ამერიკელი მრჩეველი ირანის ჟანდარმერიის მთავარ სამმართველოსთან — **რედ.**); „წუეგა-კრულვა მოღალატეთა სასახლეს!“; „რაც შეიძლება მალე ჩამოხრჩობილ იქნან შეთქმულნი!“.

ცოტა უფრო გვიან მოედანზე მოვიდნენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული საზოგადოების მოწოდებით მოწყობილი უზარმაზარი დემონსტრაციის მონაწილენი. დემონსტრანტებს თან მოჰქონდათ ლოზუნგები და გაიძახოდნენ: „სიკვდილი სასახლის შეთქმულებს!“, „სასახლე — ანტიეროვნულ შეთქმულებათა ეს კერა ლიკვიდირებულ უნდა იქნას!“, „გაუმარჯოს ირანელი ხალხის ერთიან ფრონტს კოლონიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში!“, „ირანელი ხალხი მოითხოვს გადევნილ იქნან ირანიდან ამერიკელი ჯაშუშები!“, „გაუმარჯოს ხალხს!“.

გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-7 სესიის მესამე ნაწილი

ნიუ-იორკი, 17 აგვისტო. (საკდესი). დღეს კვლავ შეიკრიბა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა, რათა განაახლოს კორეის საკითხის განხილვა.

გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა გახსნა მე-7 სესიის თავმჯდომარემ პირსონმა, რომელმაც მოკლე განცხადებაში აღნიშნა, რომ, რამდენადაც დროებითი ზავი ხელმოწერილია, „ახლა ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ მშვიდობისა და რეკონსტრუქციის შემდგომ სტადიაზე“. მან რწმენა გამოთქვა, რომ ყველა დელეგატმა მთელ მსოფლიოსთან ერთად შვება იგრძნო იმასთან დაკავშირებით, რომ საომარი მოქმედება შეწყდა. პირსონმა მოუწოდა კორეაში ხელმოწერილი დროებითი ზავი დადაქცეონ მშვიდობად.

პირსონმა იმედი გამოთქვა, რომ გენერალური ასამბლეა შეძლებს შეიმუშაოს პოლიტიკური კონფერენციის პირობები „მინიმალური უთანხმოებითა და მაქსიმალური თანხმობით და კეთილი ნებით“ განიხილოს კორეაში მშვიდობიანი მოწესრიგების არსი. გამოთქვა რა აზრი, რომ გენერალურმა ასამბლეამ არ უნდა „განიხილოს კორეაში მშვიდობიანი მოწესრიგების არსი, არამედ მხოლოდ უნდა უზრუნველყოს აპარატი, რომელიც ეცდება ამ მოწესრიგებას“, პირსონმა დასასრულ განაცხადა, რომ, თუ წინაღმდეგი არავინ არის, იგი სთხოვს პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარეს მოიწვიოს კომიტეტის სხდომა, რათა ამ საკითხის განხილვა დაწყებულ იქნას 18 აგვისტოს დილით.

შემდეგ პირსონმა განაცხადა, რომ მისი წინადადება მიღებულია, რამდენადაც საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა, და ამით დახურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა.

ქვის ნაწარმი ბიბლიოთეკა

თბილისში 22 წელია არსებობს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დეკორაციული და ფერადი ქვის მოპოვებისა და დამუშავების ფაბრიკა — „საქართველოს ფერადი ქვა“. იგი პლასტმასის ნაკეთობებსაც უშვებს. ფაბრიკის პროდუქციაა ვაზები, საწერი მაგიდის მოწყობილობა, საფერფლეები, სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის დეკორაციული ფიგურები, ჩიბუხები, კომბინირებული ღილები, აგრეთვე ფერადი ქვის სხვადასხვა ნაწარმი.

ამ ფაბრიკის ნაწარმს იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც — მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ბაკოში, ერევანსა და სხვა ქალაქებში. იქ ხშირად შეხვდებით თბილისურ პროდუქციას. მხატვრები — ქვაზე ამომჭრელები ა. მიგოტინი, ი. კუშპელევი, პლასტმასის დამუშავების ოსტატები დ. სოსიაშვილი, გ. კობეშავილი, დ. გაგოშვილი ქვასა და პლასტმასას შესანიშნავ ნაკეთობად აქცევენ. ამ დღეებში ამუშავდება წარმოება, რომელიც დაამზადებს ქაღალდის სამაგრებს. მომავალში გათვალისწინებულია ნარჩენების ხარჯზე თაბაშირის გამოწვა, აგრეთვე პროდუქციის გამოშვების გადიდება.

სურათზე: კონტროლის ოსტატი რ. ბერაია (მარცხნივ) იღებს მზა პროდუქციის ქვაზე ამომჭრელ მხატვარ ა. მიგოტინისაგან.

ტექსტი და ფოტო ვ. **ზარიძისა.**

ლვოვის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები

ლვოვის მუსიკალური კომედიის თეატრმა, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გამოდის, 17 და 18 აგვისტოს აჩვენა ახალი სპექტაკლი — სტალინური პრემიის ლაურეატის ი. მილიუტინის ოპერეტა — „ალიაქოთი ქალიშვილებში“. ეს თბილისში ჩამოტანილი რეპერტუარის მეათე პრემიერაა.

სპექტაკლი დადგმულია რეჟისორ ი. გრინშუნის მიერ, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ლ. ფალენბოგენს. მთავარ როლებს ასრულებენ წამყვანი მსახიობები: ე. დემბსკაია, ნ. ბუხარინა, ს. გოზბერგი, ე. ლიბერო და ა. მიხაილოვი.

სპექტაკლს წარმატება ჰქონდა.

ფეხბურთი

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი)

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა შეჯიბრება ფეხბურთში საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის დინამოელები თამაშობდნენ კიეველ თანაკლუბელებთან.

ანგარიში გახსნეს თბილისელებმა. 30-ე წუთზე კალოევისაგან მიწოდებული ბურთი მოწინააღმდეგის კარში მოათავსა მარცხენა გარემარბმა ა. ჭკუასელმა. 10 წუთის შემდეგ ა. ღოლობერიძემ საჯარიმო დარტყმით სტუმრების კარში მეორე ბურთი გაიტანა.

შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ 2:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმრებს ჰქონდათ ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა, მაგრამ ვერ გამოიყენეს. 39-ე წუთზე კ. გაგნიძემ 20 მეტრიდან კიდევ ერთი ბურთით გაადიდა ანგარიში. ამრიგად, შეჯიბრება დამთავრდა თბილისის დინამოელთა გამარჯვებით 3:0.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

მოქალაქე **ივანე გრიგოლის-ძე ციციკოვმა**, მცხოვრებმა ინწკირელის ქ. № 6, აღძრა საქმე ორჯონიკიძის ქ. № 8 მცხოვრებ **მარიამ მოსესის ასულ მალუნცევასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **მიხეილ მიხეილის-ძე ფარცხალაძემ**, მცხოვრებმა კვალის ქ. № 15, აღძრა საქმე ფალიაშვილის ქ. № 48 მცხოვრებ **ლიუდმილა ვლადიმერის ასულ ფარცხალაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ორჯონიკიძის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ლევან, შვილები ალეკო, ნინო, მშობლები ალექსი, გოგოლა ტოტოჩავები, მამა მიხეილ, და ვენერა იაკობიძეები იუწყებიან **ასმათ იაკობიძე-ტოტოჩავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-VIII, 7 ს. გამოსვენება 22-VIII, 5 ს. 30 წ. ბარნოვის ქ. 90-ბ.

დედა ანა, შვილი ალეკო, და ოლია, დისწული ბელა მაჭავარიანები იუწყებიან **ქეთევან ნიკოლოზის ასულ მაჭავარიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 19-VIII, 8 ს. გამოსვენება 20-VIII, 6 ს. გოგოლის ქ. 42-ა